



სამუშაო ჟურნალი

მუსავატი

(იბექიდება თან კვირაში ერთხელ)

კურნალის ფასი წელიწადში . . . 3 მან. || რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება
თითო ნომერი ხელშე გასასყიდად . 10 კაპ. || აღრესი: თიქლის, ვარაუნია, № 5.

წელიწადი კირკელი

1909 წელიწადი.—14 ღვინობისთვის.—№ 11.

გ ი რ ა რ ს ი

გ. რობილაძე	მცენარენი და ცხოველნი	3
გ. ნახუცრიშვილი	რა სარგებლობა მოუტანა ერთბაშ რუსეთის გლეხ- კაცობას	6
დ. გორითამაშვილი	ორიოდე სიტეგა ჩვენებურ ხენა-თესვაზე	9
გ. შ—ელი	სელოზნერი სასუქები	11
გ. გულბაათაშვილი	სად რამდენი დესტრინა ვენახია ამიერ კავკასიაში და რუსეთში და რამდენი გამოსავალი აქვს ვენახების რუ- სეთში და სამაგან	14

საყურადღებო ცნობები:

გ. ახალაძე	საწამლავი კვარცის მომზადება და სმარება	15
გ. ნ.	კომისარების ფესვების დაკავევება; — საშუალება როგო- რის წინააღმდეგ; — თესლის გაუმჯობესობა; — როგორ უნდა ჩააქროთ ცეცხლ-მოკიდებული მუნიციპალიტეტი	16

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: — ავტორი პ., ალიბეგოვი გ., ბერებას შვილი კ., გვერდწითელი პ., გოგინევი ლ., გოგინაშვილი ფ., დელაბრიშვილი შ., ერინოს გი ს., გაერთიანება, იოსელიანი ე., გრიბელაშვილი ე., გალანდაძე ნ., ლორთქიფნიძე პ., ლიონიძე ა., მაკარშვილი ნ., მოსეშვილი ი., მრევლიშვილი გ., მკურნალი ნ., მურვანშვილი მ., მჭედლიშვილი გ., მამულაშვილი მ., მაღალაშვილი მ., მღიგანი დ., ნანეიშვილი მ., ნახუცრიშვილი გ., ნასარიძე ს., ქვრივანი ს., ელილაშვილი ზ., ღვთისვაროვანი კ., ზაალიშვილი მ., ჭავჭავიძე გ., ყავრიშვილი ნ., ჩილოუშვილი ს., რაზიგაშვილი თ., რცხილაძე გ., ხუნდაძე ს., ფირფევევი ს., საკოვი ა., ქარცივაძე მ.

რედაქტორი მოვლის სხვებიდგანაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

თანამშრომელთა საზურადლებლი.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტორიმ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქტორი მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამაგლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ცველა სამეურნეო ნაწარმოების შექნავასალებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ლირს თარი შაური.

წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქტორისთან შეთანხმებით. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

ქუთაისში ხელის მოწერა ჟურნალზე მიიღება წიგნის მაღაზიაში „იმერეთი“

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ყველა იმათ, ვისაც უურნალი „მოსკოვი“ ეგზაციებათ თანახმად მათი სურვილისა და მომავალი იანვრამდე ღირებული 2 მანეთი კი ან სრულიად არ შემოუტანიათ, ან მარტო ნაწილი აქვთ შემოტანილი, კეთილ ინებონ და გამოუგზავნონ რედაქციას თავიანთი ხელის გარდასახადი.

მცენარეი და ცხოველი

უჯრედების გამრავლება

შეც. ვირხოვისაგან თქმული პირველად 1858 წელს კანონი რომ „უჯრედი უჯრედისაგან წარმოსდგება“ (omnisicellula e cellula) მეცნიერებას დღეს ჰქონდარიტებად აქვს მიღებული.

შემდეგი გამოკვლევებით იგივე დამტკიცდა უჯრედის გუნდის შესახებაც. ყველა ამ გამოკვლევებიდან ფლემინგმა 1882 წელს დასკვნა რომ გუნდები გუნდისაგან წარმოსდგებიან (omnis nucleus e nucleo), რომ უჯრედების გამრავლების დროს, უჯრედის გაყოფამდე ჯერ გუნდი იყოფა და მაშასადამე, უჯრედების გამრავლება უნდა წარმოვიდგინოთ როგორადაც გამრავლება გუნდებისა, რომელთა შორის განაწილება უჯრედის პროტოპლაზმით.

ამნაირად ის მნიშვნელობა, რომელიც წინად პროტოპლაზმის პერიდა რომ არსო სიცოცხლისა თვით პროტოპლაზმით, რო გუნდი და ყოველი სხვა შემადგენელი ნივთიერებანი უჯრედში შეიძლება ხან არც კი იყვნენ სრულებით, ეხლა გუნდზეა გადატანილი. უჯრედების გამრავლებაში მეცნიერების ყურადღება დღეს უფრო გუნდების გამრავლებაზეა მისყრობილი.

უნდა ვსთქვათ რომ, რაც უფრო მეტ წარმატებაში შედის ბუნების კანონების გამოკვლევა, იმდენი უფრო

ღრმათ ნათება უფსკრული სიცოცხლის საიდუმლოებისა.

ეხლა გამოსაკვლევ საგნად გუნდის უმთავრესი შემაღებელი ნივთიერება ქროშატინია გამხდარი. შისი თვისებებია დღეს მეცნიერებისათვის საძიებელი.

უკვე გამოკვლეულია, რომ ნუკლეინი ანუ ქრომატინი გუნდში პატარა ხან რგვალი ხორხოშელის მზგავსი და ხან ქსელის მავვარი მარცვლებისაგან — ქრომზებისაგან — არის შემდგარი.

ერთი და იგივე შთამომავლობის უჯრედების თითოეულ გუნდში ქრომოზების რიცხვი ერთიდაიგივეა ჩვეულებრივ, ხოლო როცა გუნდი გამრავლების დროს იყოფა ორად, ეს ქრომოზებიც თითოეულად შუა-შუა იყოფიან, ისე რომ ყოველ ახლად წარმომდგარ გუნდაკში იმდენივე ქრომოზი რიცხვით, რამდენიც იყო დედა-გუნდში. მაში აშკარაა რომ, სანამ გუნდაკი გუნდად გაიზრდება და გასაყოფად მომწიფდება გასამრავლებლად, ქრომატინის რაოდენობა ერთიორად მატულობს გუნდში ქრომოზების რიცხვის გაორკეცებასთან შეთანახმებით.

მეტად საყურადღებოა აქ ის მოვლენა, რომ მრავალ-უჯრედიან ორგანიზმის დამწიფებულ სანაშენო უჯრედებში ქრომოზები რიცხვით ორჯელნაკლებია ხოლმე, ვიღრე იგივე ორ-

განიზოს სხვა უჯრედებში და როცა მამობრივი სქესის უჯრედები—სპერ-მატოზოიდები—შეუერთდებიან დედობრივ სქესის უჯრედებს—კვერცხებს, როცემ ქრომოზებისა თითოეულ წარმომდგარ ნასკვში ისევ ჩვეულებრივი ხდება.

პრ. ბოვერი ამ ქრომოზებს სახავს ცალკე ინდივიდებათ, რომელიც დამოუკიდებლივ იზრდებიან, მრავლდებიან დაყოფით და გარდა ეცემიან დედა-უჯრედის ცველა შთამომავლობას, ისე რომ ქრომოზები ერთი რომელიმე ორგანიზმოს ცველა უჯრედებისა, ბოვერის აზრით, წარმოადგენ შთამომავლობას ერთი წინაპარ ქრომოზებისა, რომელიც ამ ორგანიზმის დასაწყის უჯრედის გუნდში იმყოფებოდა წინად.

ამ გვარად უნდა ვსოქვათ რომ ის დიადი სასიცოცხლო საქმე, რომელსაც ასრულებს პროტოპლაზმო, კეთდება მხოლოდ გუნდისა და ცენტროზომის თანადასწრებით და მონაწილეობით. ხოლო გუნდების მოქმედება შეკავშირებულ-დამოუკიდებული ქრომოზების მუშაობასთან ჯერ კიდევ სავსებით არ არის გამოკვლეული და შესწავლილი.

სხვადასხვა ცდები და მათი მნიშვნელობა

ცველა იმიდან, რაც დღეს რთულ ორგანიზმოს უჯრედების შესახებ ვიცით, შემდეგი უტყუარი დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ: ეს უჯრედები არიან ცოცხალი არსებანი და არა უსიცოცხლო ელემენტები რთული ცოცხალი ერთეულისა; აგებულობითაც და ფიზიოლოგიური მოქმედებითაც რთული ორგანიზმოს უჯრედები

ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებლინო არიან. ეს დამოუკიდებლობა სხვათა შორის მტკიცდება იმითი, რომ ზოგი ასო სხეულისა შეიძლება ამოკრილი იქმნას თავისი ალაგიდან და გადატანილი იმავე სხეულის სხვა იდგილს, სადაც ასო იგი განაგრძობს ცველა თავის ფიზიოლოგიურ მუშაობას.

ხილურგები დაუპრკოლებლივ ასჭრიან ხოლმე აღამიანს შუბლის კანს და მიაკერებენ მასვე ცხვირზე, როდესაც ეს უკანასკნელი რამე მიზეზისა გამო თხოულობს ამგვარ დაკერებას. შემდეგ რაოდენიმე ხნისა ნაკერი ცხვირზე ისე გაებმება-გამთელდება ხოლმე, რომ ბოლოს ვეღარც კი შეატყობს კაცი, თუ აქ ოდესმე ესეთი ოპერაცია იყო მომხდარი.

შესანიშნავ ცდებს აკეთებდა მაგალითად პოლ ბერი. ახალგაზრდა თეორი ვირთაგვას მოაჭრიდა კუდს 2—3 სანტიმეტრს სიგძით, გააძრობდა კანს, ჩაურგავდა იმავე ვირთაგვას ხორცში სადმე სხვა ალაგს, შეუხვევდა კარგად და 2—3 თვის შემდეგ ამ ახალ ადგილას კუდის მონაჭერი 5—9 სანტიმეტრამდე იზრდებოდა. ხოლო ამგვარად გადარგული მინდვრის თავისი კუდი არც მაგალითად შავ ვირთაგვის სხეულში, არც ციყვის, კატის, ძაღლის და არც სხვა სხეულებში არა ხარობდა: ისალაგი, საღაც კუდი იყო ჩარგული, ჩაჩირქდებოდა ხოლმე და კუდი გარედგამოდიოდა როგორც ხელში შერქმული ხიჭვი. ზოგჯერ ამგვარ ცდას ცხოველის სიკვდილიც მოჰყვებოდა თან, ზოგჯერ კი ცხოველს არა ევნებოდარა, ხოლო ჩარგული კუდი შეელეოდა, შეისუტებოდა სხეულით ისე, რომ ჩაოდენიმე ხნის შემდეგ აღარც სხეულში

იყო სადმე მიმალული და ოლარც გარედ გამოსული.

თეთრი კურდლისათვის ამოუჭრიათ საკვერცხე, გადაურგავთ იმისავე მუცლის გარსში და საკვერცხეს იმდენად უხარნია, რომ კურდლელი გამაკებულია.

ზღვის ღორისათვის ამოუღიათ ცური ჩაურგავთ იმისავე ყურის ძირში და ოლცა ღორს უმაკნია, გადარგული ცური რძით გავსილა.

იგრვეს ამტკიცებს სისხლის გადატანა ერთი ცხოველის სხეულიდან სხვა ცხოველის სხეულში. ხოლო რაც უფრო შორს არიან ცხოველები ჯიშითა და ჩამომავლობით ერთიერთმანეთიდან, იმდენი მავნებელია მათი სისხლის არევა. ზოგჯერ ცხოველი, რომლის სხეულშიაც შეუშვით სხვა სისხლი, მომკვდარა კიდეც.

საზოგადოდ შემჩნეულია, რომ როგორც ასოს გადარგვა ისე სისხლის გადარევა შესაძლებელია მხოლოდ ერთი გვარისა და ჯიშის ორგანიზმოთა შორის. ასე მაგალითად: სისხლის გადატან-გადმოტანა შეიძლება თავისია და ვირთაგვის სხეულთ შორის, ჯორისა და ცენტის შორის, ძალისა და მგლის შორის და სხვ.

შეხორცება

ზემოთ ნათქვამიდან სჩანს, რომ როგორც ცხოველებში ისე მცენარეებში გვარით და ჯიშით დანათესავებულ ორგანიზმოების უჯრედებს და ამ უჯრედებისაგან შემდგარ ორგანოთ შესძლებით შეხორცება ერთიერთმანეთიან. მხოლოდ, როგორადაც ზოგ ნათესავ ორგანიზმოთა სანაშენო უჯრედები ჩამობრივი და დედობრივი სქესისა უერთდებიან ერთმანეთს და ჩაინასკვება ახალი ცოცხალი არსება და

ზოგისა კი არ უდგებიან ერთმანეთს, ისე შეხორცებაა ზოგ მონათესავე უჯრედებ შორის შესაძლებელი და ზოგთათვის კი არა. ამასთან უჯრედების თვისებები ორგვარია: 1) თვისებები გამოწვეულნი იმ პირდაპირი დანიშნულებით, იმ მუშაობით, რომელსაც უჯრედები ასრულებენ სხეულში და 2) თვისებები, რომელნიც უჯრედებს ჩამომავლობით აქვთ თან დაყოლილი.

თეთრ კურდლის სისხლში სხეულში რომ შეურიოთ მაგალითად ხარის ან ძროხის სისხლი, რამდენიმე დღის შემდეგ კურდლის სისხლს ორი განსაკუთრებითი თვისება ეძლევა: 1) აღნობს ძროხის სისხლის წითელ ბუშტებს და 2) ძროხის შრატში არეული ლექს ჩააგდებს ხოლმე.

ძროხის სისხლის მაგივრად რომ იმავე ძროხის რომელიმე ან ასო, ან სითხე გადავვერია თეთრ კურდლის სისხლისთვის, იგივე შედეგს მივიღებდით. რომ მაგალითად ძროხის რძე გადურიოთ თეთრ კურდლის სისხლს, კურდლის სისხლი ისევე ნაირად იმოქმედებს არამც თუ ძროხის რძეზე მარტო, არამედ მის სისხლზედაც.

ძროხის ბულის თესლი რომ გაღურიოთ თეთრ კურდლის სისხლს, ნარევი სისხლი ბულის სპერმატოზოდებსაც ხოცავს და მის სისხლლის წითელ ბუშტებსაც აღნობს. ხოლო ესეთი ნარევი სისხლი თეთრი კურდლისა არაფერ ზედმოქმედებას არ ახდენს სხვა გვარისა და ჯიშის ცხოველებზე, როგორც მაგალითად ცენტე, ცხვარზე, ძალიზე და სხვა. მომზადებული ნარევი მოქმედობს მარტო იმ ცხოველზე, რომლიდანაც ავიღეთ სისხლი სხვა ცხოველის სისხლში გადასარევთ.



ეს თვისებები ისე მკაფიოდ ახასიათებენ ცხოველს, რომ შემხმარი სისხლიც კი შეგვიძლიან ადვილად შევამოწმოთ და გავიგოთ რომელ ცხოველს ეკუთვნის.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ უჯრედები ორგანიზმოში ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელნი ერთიერთმანეთიდან თანახმად მათი სხვადასხვა დანიშნულებისა, კომლ-კომლად არიან განსხვაებულ - გათავთავადებულნი და წყობრივ აკეთებენ ერთ საერთო საქმეს — წარმოადგენენ ერთ ცოცხალ არსებას მრავალგვარი მოთხოვნილებებით.

ამ გვარად ყოველი თითოეული უჯრედი როგორც დამოუკიდებელი ცო-

ცხალი ინდივიდი, წევრი კომლისა და ნაწილი მთელი რთული ორგანიზმოსი, ასრულებს საპირადო, საკომლო და საზოგადო საქმეს. ხოლო ამ სხვადასხვა გვარი მოქმედების გასაწერი-გებლად უჯრედები შეკავშირებულ-შეთანხმებულნი არიან სხეულში უმთავრესად სხეულის ნერვებისა და სხვა დასხვა სითხეების შემწეობით. ამგვარი შეკავშირებისა გამო ვნება ერთი რომელიმე კომლი უჯრედებისა მთელი სხეულის ვნებას შეადგენს და საწინააღმდეგოდ გამოწვეულ ბრძოლას მთელი სხეულის ხან გამარჯვება და ხან კი დაჩაგრა მოსდევს ხოლმე.

3. რცხილაშე

რა სარგებლობა მოუტანა ეროვან რუსეთის გლეხესა ცობას

შემოვიდა თუ არა რუსეთში ერობა, იგი პირველი ღლილების უკიდურესი სიღარიბე. ამ მიზეზით საჭირო შეიქმნა იმგვარი ცოდნისა და ხერხის გამოიქვება, რომლის წყალობითაც ერთი მტკაველი გამოფიტულ მიწას, შესძლებოდა გლეხი კაცის ჯალაბობის გამოკვება. ეს ცოდნა კი ნასწავლი და გამოცდილი ხალხისაგან წიგნებში იყო ჩაწერილი, მაგრამ ვის შეეძლო ამ ცოდნის გამოყენება, თუ არ წერა-კითხვის მცოდნე აღამიანს. ის სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ერობამაც თავისი მოქმედება ხალხში თავიღგანვე წერა-კითხვის გავრცელებიდან დაიწყო. საბედნიეროთ ერობის ამგვარმა ცდამ უნაყოფოთ არ ჩაიარა და დიდი უნარიც გამოიჩინა ხალხის განათლების საქმეში. თუმცა ამჯამათ ერობის გუბერნიებში კიდევ ბლობათ მოიპოვებიან წერა-კითხვის არ მცოდნე პირნი, მაგრამ თუ ამავე დროს თვალს გადავავლებთ იმ გუბერნიებს, სადაც ჯერ ერობა არ

მგონი ახლა მეტიცაა იმაზედ ლაპარაკი, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან მშრომელი ხალხისათვის მარტო უბრალო წერა-კითხვისა და საანგარიშო ჩოტკზედ ცოდნის შეძენას. ბატონყმობის მოსპობის შემდეგ, გლეხეკაცია სფრანგობლათ გამრავლდა, მაგრამ იმისი მარჩენელი მიწა კი არ იზრდებოდა და საუკუნოებით ძალლონე გამოცლილი ისევ იმოდენავე შერჩათ გლეხებს ხელში.

ამისათვის ერთის მხრით გაღარიბებული მიწის სიცოტავემ და მეორეს მხრით ხალხის სიმრავლემ, გამოიწვია

მუშათა კლასის უკიდურესი სიღარიბე. ამ მიზეზით საჭირო შეიქმნა იმგვარი ცოდნისა და ხერხის გამოიქვება, რომლის წყალობითაც ერთი მტკაველი გამოფიტულ მიწას, შესძლებოდა გლეხი კაცის ჯალაბობის გამოკვება. ეს ცოდნა კი ნასწავლი და გამოცდილი ხალხისაგან წიგნებში იყო ჩაწერილი, მაგრამ ვის შეეძლო ამ ცოდნის გამოყენება, თუ არ წერა-კითხვის მცოდნე აღამიანს. ის სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ერობამაც თავისი მოქმედება ხალხში თავიღგანვე წერა-კითხვის გავრცელებიდან დაიწყო. საბედნიეროთ ერობის ამგვარმა ცდამ უნაყოფოთ არ ჩაიარა და დიდი უნარიც გამოიჩინა ხალხის განათლების საქმეში. თუმცა ამჯამათ ერობის გუბერნიებში კიდევ ბლობათ მოიპოვებიან წერა-კითხვის არ მცოდნე პირნი, მაგრამ თუ ამავე დროს თვალს გადავავლებთ იმ გუბერნიებს, სადაც ჯერ ერობა არ

რა სარგებლობა მოუტანა ერთაში რუსეთის გლეხებიცობას

არის შემოღებული და მაშასადამე ხალხის ბედიც ისევ ჩინოვნიკების ხელშია, იქ ას გლეხში ორ კაცსაც ძლივს იპოვნით, რომ წერა-კითხვა იკოდეს.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ერთბის გუბერნიებშიც ბევრი გლეხკაცობა დარჩა შეკოლებს გარეთ, მაგრამ ამ გლეხებიცობის გაუნათლებელ ნაწილსაც ერთბამ სხვა წამალი გამოუნახა.

ამისათვის ერობის გუბერნიებში იწვევდნენ მეურნეობაში დახელოვნებულ პირთ — აგრონომებს, რომლებიც ქალაქებში კი არა სკაფერობდნენ, არამედ დადიოდნენ სოფელ-სოფელ, აკვირდებოდნენ სოფლების ყოფა-ცხოვრებას, გლეხების მეურნეობას და მის გასაუმჯობესებლათ აძლევდნენ მათ ყოველ გვარ რჩევა-დარიგებას. მაგრამ გლეხებიცობა კი პირველადვე გულუივათ დაუხვდა ამ დაუპატიუებელ შასწავლებლებს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან გლეხებიცი, რომელიც პატარობიდგანვე ბუნებასთან იყო ჩახუტებული და საუკუნოებით მამა-პაპურის წესით აწარმოებდა თავის მეურნეობას, დღეს ეს დაუპატიუებელი შასწავლებლები უწუნებდნენ ამ წეს, ე. ი. მამა-პაპურ გუთნებს, ხვნა-თესვის წესს და სხ... ამგვარათ აგრონომების რჩევა-დარიგებას, პირველი გასავალი არ ჰქონდა ხალხში.

მაგრამ ამას როდი შეუშინდნენ ეს პატიოსანი მუშაკი, ესენი უფრო ხშირად დაიარებოდნენ სოფლად. მართლაც, რაც დრო გადიოდა იმდენათ გლეხებიცობაც ეჩვეოდა აგრონომების რჩევა-დარიგებას და ბოლოს დარწმუნდნენ კიდეც, რომ იმათთან დაიარებოდნენ არა ჩინოვნიკები, არამედ უბრალო გულკეთილი მასწავლებელნი, რომლებიც მხოლოდ ასწავლიდნენ და

უჩევდნენ. აასრულებდნენ მათ რჩევა-დარიგებას თუ არა, ეს გლეხების ნება იყო, თითონ კარგათ ესმოდათ რომ ამაზედ იმათ არავინ დასჯიდა.

აი ამგვარმა გრძნობამ მოიყვანა გლეხობა ჭკვაზედ და ბოლოს გადაწყვიტეს, რომ აგრონომების რჩევა საქმეშიაც გაეშინჯათ.

როგორც მოგეხსენებათ ყველა გლეხს პირველათ ძალიან ეძნელება რაიმე იხალი საქმის დაწყობა, მაგრამ როდესაც კი დაიწყოს და შიგ სარგებლობასაც დაინახავს, მაშინ თქვენ თავი მიანებეთ, მათთვის რჩევა აღარ არის საჭირო, რადგანაც დღეს თუ ერთმა დაიწყო ახალი საქმე, ხვალე მიხედულობით მას ასი და ორასი თანამოაზრე ამხანაგები გამოუჩნდებიან.

აი ამაზედ რას მოგვითხრობს პერმის გუბერნიის, ვერხოტურსკის მაზრის აგრონომი: 1900 წელს აგრონომს დიდის წვალების შემდეგ მხოლოდ ორი გლეხი დაუყოლებია და რიგზედ მოესავი მანქანით მათთვის თითო თითო დღიური პური დაუთესვინებია. ამ ორ გლეხს გარდა აგრონომს სხვა არავინ მიჰკარებია ახლო. მომეტებული ნაწილი თურმე ლანძღვავდნენ და დაკინვით ამბობდნენ: „ეგ მანქანა ისე თხლათა სთესავს მარცვალს, რომ ჩენი აგრონომი თესლისაც ვერ აიღებს“—ო. უნდა მოგახსენოთ რომ ამ ალაგებში ხელით დათესვის დროს თითოეულ დესეტინას 16—18 ფუთი თესლი უნდება, მხოლოდ მთესავი მანქანა კი დესეტინას ათ ფუთს ანდომებდა. საბედნიეროთ 1900 წელი მოსავლიანი გამოდგა; ხოლო სადაც ხელით იყო თათესილი, იქმეტი წილი ყანები დაიწვა და მარცვალიც აშრიტა და მანქანით დათესილმა ყანებმა კი მშვენიერი თავთავი გაიკეთა და ერთმა დესე-



ტინამ 120 ფუთი წმინდა ხორბალი ჩაა-
ბარა პატრონს.

ამ შაგალითმა რასაკვირველია დიდი
საქმე გააკეთა ხალხში. 1901 წელს
იმდენი მსურველი გამოუჩნდა ამ საქ-
მეს რომ ორი მთესავი მანქანა ვერ ას-
დიოდა თესვას. 1902 წ. 16 გლე-
ხმა შუამდგომლობა სთხოვა ერობას,
რომ მათთვის მთესავი მანქანები გამო-
ეწერნა. ერობამ დაუყონებლივ გამო-
უწერა 16 მანქანა შეღავათიანის პი-
რობით.

1902 წ. ამ მანქანებით თითქმის
700 დესეტინამდის დაითესა და დღეს
რამოდენიმე ასი მანქანა უკვე მოიპო-
ვება ზემოხსენებულ გუბერნიაში.

აქედან ნათლად ვხედავთ აგრონო-
მების გულწრფელ მოღვაწეობას. ისინი
ცარიელ დარიგება-სწავლას კი არ სჯერ-
დებოდნენ, ამასთანავე სცდილობდ-
ნენ რომ თავიანთი რჩევა და სწავ-
ლა საქმითაც დაემტკიცებინათ ხალხი-
სთვის, ამისათვის სოფლებში გამოსაც-
დელათ ურიგებდნენ სხვადასხვა სამეუ-
რნეო სამუშაო იარაღს. გარდა ამისა
ბევრს ალგას თესლის გადამრჩევი და
სანიავებელი მანქანებიც დადგეს. ამნაი-
რათ ხალხს საშუალება ეძლეოდა მახ-
ლობელი სოფლებიდან მოეტანათ თეს-
ლიდა გადარჩეულ-გასუფთავებული წა-
ელოთ დასათესათ. მეტის სიადვილისთ-
ვის ამ მანქანებს სოფელ-სოფელაც ატა-
რებდნენ.

ზევით ჩვენ მოკლეთ ავწერეთ აგ-
რონომების მოღვაწეობა, რომ ისინი
ასწავლიდნენ გლეხებს თუ რა გუთნე-
ბით უნდა ეხნათ მიწები, რანაირათ
უნდა გადაერჩიათ სათესლე პური და
რა წესით უნდა დაეთესათ იგი.

მაგრამ ყველა ესენი რომ შეესრუ-
ლებინა გლეხეს, მისთვის საჭირო იყო
სამეურნეო იარაღი, თესლი, პატივი
და სხვა. ამისათვის საჭირო იყო ზემო-
ხსენებული სამეურნეო იარაღისა და
სხვა საჭირო მასალის საწყობების გა-
მართვა. ერობამ ეს საქმეც მაღლ მოა-
წყო. თუ რანაირათ არის ეს საწყო-
ბები მოწყობილი ან რა პირობით აძ-
ლევენ გლეხებს, ამაზედ შემდეგში მო-
ვილაპარაკოთ. მხოლოდ ესეც უნდა
ვიღვიაროთ რომ მარტო საწყობების
გამართვითაც არა გამოვიდა რა, რად-
გან ყველა საჭირო მასალების შესაძე-
ნათ ფული იყო საჭირო, რომელიც
როგორც ვიცით გლეხს იშვიათაც მოე-
ძებნება.

ერობაც მაღლ მიჰხედა გლეხების ამ-
გვარ უსალსრობას და საწყობებიდან
იარაღის და სხვა სამეურნეო მასალის
შეძენა შეღავათიანის პირობებით დაა-
წესა მათთვის, ე. ი. ყველა გლეხს ეძ-
ლეოდა უფლება საწყობიდან ყველა
საჭირო იარაღისა და ნივთების კატა-
ნა, მხოლოდ მათი ღირებული ფასი
ნაწილ-ნაწილ უნდა შეეტანა ერობა-
ში. ამ ბოლო ხანებში აგრონომების
რიცხვი ერობამ უფრო გაამრავლა, ერ-
თის მაგიერ ახლა ორი და სამია, რომ-
ლებიც საზოგადოთ სცხოვრობენ სოფ-
ლათ.

ზოგიერთა ალაგებში, ეგრედწოდე-
ბული გლეხთა სამეურნეო საზოგადო-
ებაც არსებობს, საიდანაც გლეხს შეუძ-
ლიან მიიღოს სხვადასხვა ცნობები და
დარიგება.

მ. გონიზბლეინი. გ. ნახუცრიშვილი

ორიოდე სიტყვა ჩვენებურ ხვნა-თესვაზე

გული არ მითმენს, თუ არა ვსთქვი
 რა ცუდ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი
 მეურნეობა საზოგადოთ და ხვნა-თესვა
 უმეტესათ. ხვნა-თესვის იმიტომ ვამბომ,
 რომ დუშეთისა და თიანეთის მაზრაში
 გლეხკაცია უფრო ხვნა-თესვასა და
 საქონლის მოვლა-მოშენებას მიზდევენ
 (ამ ჩვენ ორ მაზრაზედ მინდა მკით-
 ხველების ყურადღება მივაქციო, რო-
 გორც ყველაზედ უფრო ჩამორჩენილ
 მხარეზედ საქართველოში). იმის მიუხე-
 დავათ, რომ ყოველი ჩვენი ცხოვრება
 ამ მაზრებში ხვნა-თესვაზედ და საქო-
 ნელზედაა დამყარებული, ეს სამეურ-
 ნეო დარგნი წარმატების მაგივრად
 დღითი-დღე ძირს ეცემიან, და უიმი-
 სოდაც გალარიბებული გლეხები მოსავ-
 ლიდან მოსავალამდე ნახევარზედ მში-
 ვრები არიან. ბევრი ისეთი სოფლია
 აქ, სადაც მარტო ნახევარ წელსაც
 არა ყოფნით პური და შემოდგომაზედ
 და ზაფხულში ნაღირებივით ტყეში
 იკვებებიან პანტით, მაჯალოთი, მაყვ-
 ლით, რაც ხალხში ბადავს სხვადასხვა
 სატკივარს: ციებ-ცხელებას, კუჭის
 ტკივილს და ბევრ სხვას.

იმდენი პური ვერ მოუყვანიათ, რომ
 შინ მაინც ეყოთ, თორემ გაყიდვას ვინ-
 და იტყვის.

ჩვენებური ქართული გუთანი რომ
 ზარალის მეტს არაფერს იძლევა, ეს
 ეჭვს გარეშეა. ზოგი აქებს, ამბობენ
 რომ ის ღრმათ ჰქნავსო. ეს მართალია,
 მაგრამ იმას კი არ აფასებენ, რამდენი
 ხარი და კამეჩი აბია შიგ. ჩვენებურ
 გუთანში რომ რვა ულელა ხარ და კამეჩი
 აბამენ, იმით შაგვიძლიან თხი მსუ-

ბუქი გუთანი შავაბათ და სამჯერ მეტს
 მაინც მოვნენავთ და ყანაც უფრო მეტი
 მოვა, რადგან პაწაწინა ფესვები ყანისა
 ღრმად როდი მიღიან და ამიტომ ნია-
 დაგის ღრმად მოხვნა არც საჭიროა.
 პირიქით, როცა ნიადაგს თიხა ურევია,
 ღრმად მოხვნა ავნებს კიდევაც, რად-
 გან უვარების თიხა მიწა მოხვნის ღრმას
 ზევიდგან ექცევა და ყანა ცუდათ
 იზრდება. სიმინდს კი ღრმათ მოხვ-
 ნა მოუხდება, რადგანაც ღრმათ უშ-
 ვებს თავის ფესვებს. სადაც ხვნა-
 თესვას გონივრულათ მიზდევენ და
 ახალ შესამუშავებელ იარაღებს ხმარო-
 ბენ, იქ დათესამდე ხან ორჯელაც ხნა-
 ვენ, შემდეგ რკინის კბილებიანი ფარ-
 ცხით აფხვიერებენ და ისე სთესა-
 ვენ. ჩვენში კი ოცუდუთიანი ბელტები
 ქართული გუთანით გადარუნებული
 გაუფხვიერებელი რჩება და ჩვენებუ-
 რი დაწული ფარცხი ხომ იმას ვერ
 გააფხვიერებს. სადაც ახალი იარაღე-
 ბით მუშაობენ, იქ მუშაობაც იდვილია,
 არც მიწას ასუსტებენ და მოსავალიც
 კარგი მოსლით.

მიწა-წყალზედ შევიწროებულთ ჩვენ
 გლეხებს ხელს უშლის აგრეთვე ის გა-
 რემოება, რომ ყველა ჩვენებური მამუ-
 ლი დაყოფილია პატარ-პატარა ნაჭრე-
 ბათ და დაფანტულია ერთი მთაში და
 მეორე ბარში, ზოგჯერ ათი ვერსის მან-
 ძილზედ სახლიდგან. ამისთანა მამულე-
 ბიდგან თითქმის ნახევარი მოსავალი
 იყარება იმიტომ, რომ თუ პატრონი არ
 უყურებს, მამულს ხეირი არა აქვს და
 ნახევარ მოსავალს ძალლი და ღორი შეს-
 ჭამს. ერთი პატარა ქცევა მიწა ჩვენში

გაჭიმულია ერთ ვერსზედ და სიგანე კი ორიოდე საუნი აქვს. ამისთანა ნაჭრები ბევრიც რომ მოვინდომოთ და ვენახს ან ბოსტანს მოვანდომოთ ძალიან გაგვიჭირდება, იმათ ლობებს და მოვლას ვერ აუვალთ. სულ სხვა იქნებოდა, რომ ეს ყველა ჩვენი მიწები ერთ აღგილას სახლის ახლოს გვქონდეს. მაშინ როგორც გვინდა ისე მოვიხმარებდით. ყოველი ლონისძიება უნდა ვიხმაროთ რომ ეს ჩვენი მამა-პაპებისაგან დაშვებული შეცდომა გავასწოროთ.

მარტო ჩვენში არ არის ასე. ბევრგან რუსეთში და ზოგან საზღვარ გარეთაც ასე იყო, მაგრამ იქაურმა გლეხებმა დიდი ხანია შეიგნეს შეცდომა და თვითონვე შეუდგნენ იმის გასწორებას. ფინლიანდიაში ახლახან 8,000 კომლმა გაასწორა თავისი გამულები. ბევრგან შეუდა სამხრეთ რუსეთის გუბერნიიებშიაც ცდილობენ იგივე მოახდინონ. მიწების ერთათ შეკრეფა და ესე გასწორება ჩვენში უფრო ადვილი მოსახლეობია იმიტომ, რომ ჩვენში უმეტესი ნაწილი უფრო სახელმწიფო გლეხებია და მთავრობა ხომ ამაში ხელს არ შაუშლის, არამედ თვითონ უშველის გლეხებს, რითაც კი შაიძლება, როგორც ყველგან რუსეთში შველოდა. მთავრობა თვითონ გზავნიდა მიწის მზომელებს, რომლებიც კანონიერი უყოფნები მიწებს ყველა გლეხებს, შემდეგ კენჭის ყრით ვისაც რა ნაჭერი ერგებოდა კმაყოფილი იყო და ვისაც მეტი ქონდა, იმას ტორგით ყიდდნენ პატრონის სასარგებლოთ ან საზოგადოების სასარგებლოთ. ტორგები არ ვარგა იმიტომ, რომ საღაც ტორგია, იქ უკეცველათ მდიდარი გაიმარჯვებს და რაც კარგი მიწა ის დაინარჩუნებს. სხვადასხვა ადგილის სხვადასხვა ნაი-

რათ იქცევოდნენ, ეგ დამოკიდებულია გლეხებზედ, მხოლოთ მონდომებაა საქმე.

ჩვენ გვგონია, რომ ჩვენი მამული მოუღალავია და ყოველთვის კარგ მოსავალს მოგვცემს, მაგრამ ეს ასე არ არის. მამული მცენარის გაზრდაზე ბევრ საკვებავ მასაღასა ხარჯავს და რადგან ჩვენ ეს მოსავალი მიწიდგან გამოგაქვს და შიგ არაფერი შეგვაქვს, მამული ღარიბდება, იფიტება და თუ ეხლა ჩვენებური დღიური მიწა ათ კოდზედ მეტს აღარ იძლევა, რამდენიმე წლის შემდეგ თესლისაც ველარ დაგვიბრუნებს და სულ მშივრები დავრჩებით, თუ არ გავასუქეთ და არ მოუარეთ.

ჩვენებური სოფლები სავსეა მშვენიერი სასუქით, რომელიც წლითი-წლობით ერთ ადგილას ყრია და იმის მაგივრათ, რომ გავიტანოთ და გამოფიტული მამული გავასუქით, ტყუილათ ვაფუქებთ და სარგებლობის მაგივრათ უფრო ზარალი მოაქვს, რადგან აყროლებს სოფელს და სხვადასხვა სნეულობას აჩენს. ამ სასუქით გაპატივებული ჩვენი ვენახ-მინდორი კი სამჯერ და ოთხჯერ მეტ მოსავალს მოგვცემდა და სოფელიც წმინდა გვექნებოდა და ავადმყოფობაც ისე აღარ გახშირდებოდა. თუ სასუქს გავიტანოთ და უბრალოდ გადაყვრით, არც აქედგან გამოვა სარგებლობა. სასუქი უნდა უეჭველიათ ჩავბაროთ ან ჩავახნათ მიწას, რომ სინოყივრე არ დაეკარგოს ტყუილათ.

საღაც სასუქი ძალიან ძვირია და არ იშოვება, იქ სთესვენ იმნიორ ბალახებს, რომლებიც არმც თუ არ აღარიბებენ მიწას, პირიქით ანოყივრებენ. ამისთანა მცენარეებს ეკუთვნიან მა-

გალითად ჩვენი საყვარელი ლობიო, ისპა, ცერცვი, სამყურა, რომელმაც კარგი თივი იცის და ორჯელ წელიწადში ითიბება, და ბევრი სხვა ბალახები, რომელების ყვავილები ლობიოს ყვავილს წააგავს და პარკი ისხამს.

მაგრამ დაწერილი წაკითხვა უნდა და წაკითხულს გაგება. ჩვენი გლეხობა კი ამ მხრივ ყველაფერს მოკლებულია,

სამრევლო შეკლებიც-კი არა აქვს. ვართ ჩამორჩენილი არა მარტო ფრანგებს, ნემენცებს, არამედ უკელა ჩვენ ქართველ მეზობლებსაც: ხევსურებს, ფშაველებს, მთიულებს წარმოდგენაც არა აქვთ შეკლებზე, წერა-კითხვა მარტო ნასალდათებმა იციან. ოლონდაც რომ ცოდნა ამისთანა ნიჭიერი ხალხის ასე დარჩომა...
დ. გორთამაშვილი

ხელოვნური სასუქები

ფოსფორ-მჟავიანი სასუქები

ფოსფორ-მჟავიანი სასუქებიდგან უფრო ხშირად იხმარებიან ეგრედწოდებული სუპერფოსფატი, ტომასშლაკი და ფოსფორიტი. ზოგი ფოსფორმჟავიანი სასუქი აღვილად დნება წყალში, ზოგი არა; ზოგში ფოსფორის სიმჟავე მეტია შედარებით, ზოგში ნაკლები.

რაც უფრო აღვილი დასაღნობია ფოსფორის სიმჟავე სასუქებში, იმდენად სასუქი უკეთესია, რადგან მცენარეებს შეუძლიანთ ისარგებლონ მხოლოდ ისეთი ფოსფორმჟავიანი სასუქით, სადაც ფოსფორის სიმჟავე აღვილად დნება.

ამ მხრით ხსენებული სამი სასუქიდგან უფრო კარგი სუპერფოსფატი და ტომასშლაკია, რადგან ეს ორნი უფრო აღვილად დნებიან, ვიდრე ფოსფორიტი, თუმცა ამ უკანასკნელსაც ხშირად ხმარობდნენ აქამდე მაინც.

მართალია, ხეხილებს, როგორც სჩანს წინა წერილებში მოყვანილ ცხრილიდან **), ფოსფორის სიმჟავე ბევრი არა სჭირდებათ მაგრე რიგად, მაგრამ ამ ნივთიერების ის მცირედი ზომაც კი, რომელიც საჭიროა, არ მოიპოვება ხოლმე.

ნიადაგში ხშირად ფოსფორის სიმჟავე ნიადაგში ძვირად საღმე არის $0,1\% \text{--} 1\%$ მეტი, რაც ცახდია, არა კმარა და აპრკოლებს ხეხილების გათამამებასაც და სხმოიარობასაც.

პროფესორი პ. ვაგნერის გამოანგარიშებით კარგი მოსავლისათვის თითო დესეტინაზე ბალს უნდა მიეცეს 10 ფუთი ფოსფორის სიმჟავე მაინც.

გამოკვლეულია რომ ფოსფორის სიმჟავე, რომლითაც ხეხილები სარგებლობენ, ღრმათ არ ჩადის ნიადაგში. ამიტომ ჯერი ხეხილები, როცა ფესვები მათი ჯერ ღრმათ არ არიან წასული, უფრო კარგად ხარობენ; დიდი ხნის ხეხილები კი რამდენადაც ღრმათ მისდით ფესვები, იმდენად მეტიად პრკოლდებიან ზრდაში და როცა ფესვები მათი უწევენ იმ სილრმეს, სადაც ფოსფორის სიმჟავე ან აღარ არის ან ძრიელ ცოტაა, ავადდებიან და ხმებიან.

ყოველ ეპიზოდში, რომ ფოსფორის სიმჟავე ტომასშლაკის ან სუპერფოსფატის საშუალებით მიცემული ბევრ ხეხილს გადაარჩენს ხოლმე იყად-მყოფობას და გახმობას.

ვისაც უფრო ბევრჯელ უცდია ამ სასუქების ზედმოქმედება ხეხილებზე,

*) იხ. მოსავალი № 9

ის უფრო დარწმუნებით გვირჩევს მათ ხმარებას. დასავლეთ ევროპაში დღეს ტომას შლაკით გაპატივება ნიადაგისა, განსაკუთრებით როცა ხეხილებს პირველად რგავენ, აუცილებელ სიჭიროებათ არის ცნობილი.

ფოსფორიტი. რაც უფრო მეტი ფოსფორის სიმჟავეა ფოსფორიტში და წმინდათ არის იგი დაფქული, იძენად მეტი ლიტრსება აქვს როგორც სასუქს. ფოსფორიტების ფოსფორის სიმჟავე არა ღნება წყალში. მცენარის ნორჩი ფესვები უნდა შეეხონ ფოსფორიტს და ფესვებიდგან გამონადენ- მა ლორწომ უნდა ზედიმოქმედოს ფოსფორის სიმჟავეზე, რომ მის შეთვისება მცენარისათვის შეიქმნეს შესაძლებელი. ამიტომ რაც უფრო წმინდათაა ფოსფორიტი დაფქული, იმდენი ადვილად შეხვდება ფესვის საწოწნავს და იქმნება გამოყენებული.

ფოსფორიტში ფოსფორის სიმჟავე ხან 30%-ზე მეტიც არის ხოლმე, მაგრამ სიმჟავე იგი ძნელი შესათვისებელია და დიდი დრო სჭირდებათ მცენარეებს, რომელთაც ამ გზით თუმცა მძიმებიმედ მაგრამ მაინც ეძლევათ ერთი უსაჭიროესთაგანი საზრდო.

ფოსფორიტი რგებს ხეხილებს უფრო მაშინ, როცა ნიადაგს ნეხვი აქვს მოყრილი ან კომპოსტი, ხოლო ამ უკანასკნელს რკინეულობა არ უნდა ერთოს, რადგან გასაღნობათ გამზადებულ ფოსფორის სიმჟავეს რკინის ზედმოქმედება ისევ გაუდნობელად ხდის.

ეხლა ფოსფორიტის ფხვნილს წმინდას იშვიათად ხმარობენ სასუქად.

ფოსფორის სიმჟავე რომ ადვილი გასაღნობი გახდეს, ფოსფორიტზე მაგარ სიმჟავეებს, მაგალითად გოგირდის სიმ-

ჟავეს, ამოქმედებენ და სუპერფოსფატიდ გარდააგცევენ ხოლმე.

სუპერფოსფატი (ჩვეულებრივი) შეიცავს 10—20% ფოსფორის სიმჟავეს, რომელიც ღნება წყალში; გარდა ამისა სუფერფოსფატში არის რამდენიმე ნაწილი გიპსი და ცოტა ტუტა.

როცა სუპერფოსფატი ფოსფორის სიმჟავის ზედმოქმედებით არის მომზადებული, მაშინ იგი 40—45% ფოსფორის სიმჟავეს შეიცავს, რომელიც ღნება წყალში, ხოლო სუპერფოსფატს ამ შემთხვევაში გიპსი სრულიად აღარ ურევია.

ეს უგიპსო სუპერფოსფატი იხმარება იმ ნიადაგებში, სადაც ნეშომპალია ბლომად და ამ ნეშომპალიდგან წარმომდგარ სიმჟავეების ზედმოქმედებით გიპსზე, რომ იგი რეულიყო, განთავისუფლდებოდა გოგირდის სიმჟავე, რომელიც მავნებელია მცენარეებისათვის.

სუპერფოსფატი კარგად მოქმედობს მეტადრე მძიმე ნიადაგზე, სადაც ამ ზედმოქმედებას თვალსაჩინოდ და მალე შეიმჩნევენ ხოლმე მცენარეები.

ვაგნერის დაკვირვებით სუპერფოსფატი მეტადრე კარგად მოქმედობს ხეხილებზე პირველ ხანებში, როცა მცენარე ჯერ პატარაა და საჭიროა მისთვის ტანის აყრა, რომ ცუდ ამინდს, მავნე მშერებსა და სოკოებს გაუძლოს.

ნახევარზე თითქმის მეტი ფოსფორის სიმჟავე, რომელიც სუპერფოსფატს ურევია, პირველსავე წელიწადს შეეთვისება ხოლმე მცენარეებს; დანარჩენი ნიადაგში რჩება მეორე წლამდე. ამგვარად სუპერფოსფატის ზედმოქმედება ხეხილებზე ორ წლამდე გასტანს და შემდეგ ისპობა.

ყოველ წლივ თითო კვ. მეტრ ნია-
დას 10—40 გრამი სუპერფოსფატი
უნდა, რომელშიაც ფოსფორის სიმჟავე
10—20% არის და ორჯელ ნაკლე-
ბი, როცა სუპერფოსფატში 40—45%
ფოსფორის სიმჟავეა.

სუპერფოსფატი შემოდგომითვე სჯო-
ბია ჩაებაროს ხეხილებს $1\frac{1}{4}$ — $1\frac{1}{2}$ არში-
ნის სიღრმეზე, რადგან, როგორც ზე-
მოთ იყო ნათქვამი, ფოსფორის სიმჟა-
ვე ადვილად დასაღნობი წყალში კი-
რის ზედმოქმედებით ისევ გაუდნობე-
ლი ხდება. ამიტომ სუპერფოსფატის
არევა არც კირში, არც ტომასშლაკში
და არც სხვა რამე სასუქში, რომელსაც
კირი ურევია, არ შეიძლება.

თუ მაინცა და მაინც საჭიროა სუ-
პერფოსფატით გაპატივების დროს კი-
რით გაპატივებაც, ჯერ ერთი მათგანი
უნდა მიეცეს და მერე, როცა ნიადა-
გი გადაიბარება და დაყრიცი სასუქი
მიწაში აირევა, მისცეთ მეორე.

სუპერფოსფატი უნდა შეხმარდეს
ხეხილებს ახალი მომზადებული და არა
დიდი ხნისა, რადგან სხვადასხვა მიზე-
ზების ზედმოქმედებით (ან კარგად არ
იქნება მომზადებული, ან რკინეულო-
ბა ექნება ჩაყოლილი) მისი ფოსფორის
სიმჟავე გაუდნობელი ხდება თანდათან.

ტომასშლაკი ანუ **ტომასის შლაკი**
არის ნადული, რომელიც რკინის ზაო-
დებში თუჯისა და ფოლადის ჩამოსხმა-
ში გროვდება. ტომასშლაკს 200%-მდე
ფოსფორის სიმჟავე ურევია, რომლის
ნახევარი, ხან 70 პროცენტიც, ადვი-
ლი დასაღნობია წყალში.

ტომასშლაკი უფრო ხშირად და უფ-
რობლომაღ იხმარება, ვიდრე სხვა სასუ-
ქები. ეს იმიტომ რომ ყველა რკინის
ზაოდებში, მეტადრე საზღვარ გარეთ
აუკარებელი ფოლადის, თუჯის ჩამოსხ-
მის დროს შლაკიც ძრიელ ბევრი გა-
მოდის და შედარებით იაფათა ფასობს.

ტომასშლაკის ფოსფორის სიმჟავე
ცოტა უფრო მძიმედ დნება წყალში,
ვიდრე სუპერფორფატის სიმჟავე, რის
გამო პირველ წელიწადს შეხმარდება
ხოლმე მცენარეებს მარტო $\frac{1}{3}$ დაყრილი
სასუქისა და ზედმოქმედება მისი ხეხილებ-
ზე გასტანს მთელი ხუთიწელიწადი.

გამოფიტულ ქვიშნარ ნიადაგებისა-
თვის და აგრეთვე ტორფინ ნიადაგე-
ბისათვის, რადაც ხეხილებს აშეარაღ
ეტყობათ ფოსფორის სიმჟავის ნაკლე-
ბობა, ტომასშლაკი როგორც სასუქი
შეუდარებელია.

ტომასშლაკი სხვა სასუქებსა სჯობია
აგრეთვე იმ ნიადაგებისათვის, საღაც
კირი ნაკლებად ურევია, რადგან შლა-
კის შემადგენელ ნივთიერებებ შორის
კირიც არის.

რაც უფრო წმინდათ იქნება დაფქუ-
ლი ტომასშლაკი, იმდენი სჯობია.

თითო დესეტინა ნიადაგს 4—6 წე-
ლიწადში ერთხელ ტომასშლაკი სჭირ-
დება 100 ფუთამდე, ანუ ყოველ წლივ
30—40 ფუთი.

ტომასშლაკისა და სუპერფოსფატის
ერთმანეთში არევა არ შეიძლება, რა-
დგან ტომასშლაკის კირი სუპერფოს-
ფატს ლირსებას უკარგავს.

არც გოგირდმჟავიან ამონიუმში შეი-
ძლება ტომასშლაკის არევა, რადგან
ამონიუმი კლებულობს. არც გვარჯილას
აერევა შლაკი, რადგან გვარჯილა ზემო-
დამ უნდა წაეყაროს ხოლმე ნიადაგს და
ტომასშლაკი კი ჩაიბაროს ნიადაგში.

ტომასშლაკს, სანამ ბაღში შევიტანთ
გასაშლელად, უნდა სხვილი ქვიშა მო-
ვაყიროთ ან წყალი მოვაწყაპწყაპოთ
ზემოდამ, რომ ბუღი არ დაყენოს შლა-
კის მტვერმა.

საუკეთესო ტომასშლაკი ინგლისი-
დან მოღის (Bolkov-phosphat), მერე რეი-
ნიდან. ბელგიის შლაკი უფრო დაბა-
ლია ლირსებით.



სტრუმი რამდენი დესეტინა ვენახია უმიერ კავკაციუმი და რუსთაში და რამდენი გამოსახლი აქვს ვენახის რუსთაში და სცვაგან

ტფილისის გუბერნია

გორის მაზრაში	4,400	დეს.
დუშეთის	2,200	"
ბორჩალოს	1,800	"
ახალციხის	3	"
ახალქალაქის	22	"
ტფილისის	3,100	"
თელავის	10,000	"
სიღნალის	5,500	"
თიონეთის	500	"
ზაქათალაში	725	"
<hr/>		
ს უ ლ ..		28,250 დეს.

ქუთაისის გუბერნია

სუხუმის ოლქში	2,540	"
ქუთაისის მაზრაში	7,720	"
შორაპნის	9,220	"
რაჭის	5,155	"
ლეჩეუმის	2,130	"
ზუგდიდის	2,830	"
სენაკის	1,460	"
ართვინში	125	"
<hr/>		
ს უ ლ ..		32,420 დეს.

მთელ საქართველოში .. 60,670 "

დაღესტანში	3,100	"
ბაქეთის გუბერნიაში	12,320	"
განჯის	13,975	"
ერევნის	7,950	"
ყარსის ოლქში	45	"
შავი ზღვის პირზე	900	"

სულ ამიერ კავკაციუმი .. 98,960 დეს.

ბესსარაბიის გუბერ	67,550	"
ხერსონის	7,710	"
პოდოლსკის	1,220	"
ყირიმში	12,340	"
ეკატერინოსლასკ. გუბ	250	"
სტავროპოლის გუბერნ	3,650	"
თერგის ოლქში	9,910	"
ყუბანის ოლქში	4,100	"
დონის რაიონში	3,000	"

ასტრახანის გუბერნიაში ..	1,000	"
კასპის ზღვის იქთ ..	20,000	"
სულ	130,730	დეს.

ამ გვარად, მთელ რუსეთში ამიერ კავკაციანად ითვლება 229,690 დესეტინა ვენახი.

ყველა ამ ვენახებს რუსეთში 1906 წელს „Moniteur Viniele“-ის გამოანგარიშებით გამოვიდა 17,479 ათასი ველრა ღვინო.

ამავე 1906 წელს საფრანგეთს (ალექსინათ) თავისი ვენახილდან გამოიუვიდა .. 440,769 ათასი ველ-იტალიას .. 264,225 " " ისპანიას .. 137,397 " " პორტუგალიას .. 31,707 " " ავსტრიას .. 25,203 " " ვენგრიას .. 22,804 " " გერმანიას .. 17,479 " " შვეიცარიას .. 9,756 " " თბილის .. 13,821 " " ბოლგარიას .. 15,447 " " რუმინიას .. 20,325 " " ჩირდ. ამერიკის შეერთებულ შტატებს .. 11,382 " " არგენტინას .. 12,195 " " ჩილის .. 20,325 " " საბერძნეთს .. 7,317 " " სერბიას .. 4,065 " " ავსტრალიას .. 2,154 " " ბლაზილიას .. 1,829 " " ტუნის .. 1,870 " " კაბურტადს .. 1,544 " " კორსიკას .. 1,186 " " ლუქსენბურგს .. 975 " " აზორის და კანარის კუნძულებს და მადერას .. 894 " " პერუს .. 796 " " ურავგვაის .. 747 " " ბოლივიას .. 211 " " მექსიკას .. 146 " "

ყველა ქვეყნებში
ერთად .. 1,089,642 ათასი ვედ.

(„Вѣст. фин., Промышл. и Тор.“)

რომელ წელს	რამდენი დე- სერინა ვა- ნახი.	დფინო რამ- დენი ათასი ვედრა გა- მოვიდა.
1893 წ.	1,658,802	407,069
1894 „	1,634,428	317,500
1895 „	1,615,977	216,973
1896 „	1,598,801	363,053
1897 „	1,562,261	263,013
1898 „	1,578,525	254,352
1899 „	1,570,404	389,492
1900 „	1,600,667	547,579
1901 „	1,605,194	471,247
1902 „	1,603,338	324,256
1903 „	1,562,405	279,688
1904 „	1,501,515	536,718
1905 „	1,527,135	459,882

ეს ცხრილი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ მკითხველმა წარმოიღინოს, რა ადგილი უჭირავს ჩვენს პატარა ქვეყანას მთელს ქვეყნიერებაში. ხალხის ყველა ნაწარმოები ერთად აღებული ის უტყუარი სარკეა, რომელშიაც დაუმახინჯებლივ სჩანს მისი თვით-არსებობის ძალა. ხალხის კულტურა და მისი ნივთიერი წარმოება ხელიხელს არიან ჩაკიდებულნი. როგორც სჩანს უკანასკნელი ცხრილიდგან, საფრანგეთის ღვინის მოსავალი ცამეტის წლის განმავლობაში ღმერთზე და დარ-ამინდზე ნაკლებ ყოფილა დამოკიდებული, ვიღრე ხალხის სამეურნეო კულტურაზე, რომელსაც ყოველ წლიური მოსავლის რაოდენობა ყოველი განსაცლელიდგან დაუხსნია და გაუმაგრებია.

3. გულბათიშვილი

საყურადღებო ცნობები

საწამლავი კვასიას მოზადება და ხმა-
რება. ტშირად სხეხილებს და ბოსტნეულ მცე-
ნარებს უჩნდება სხვადასხვა გვარი ტილე-
ბი. ეს ტილები ეხვევიან ნორჩი ფოთლებს
და ყლორტებს და თავიანთი პაწაწა ხორთუ-
მებით სწოვენ მცენარის მსაზღვებელ წვენს.
ამის გამო ფოთლები იგრძინებინ და გამოუ-
სადეგარნი ხდებიან მცენარისათვის. ტილები
მაღა უსპობენ სიცარცელეს განსაკუთრებით
ბოსტნეულ მცენარეებს.

ამ ტილებს სწამლავენ სხვადასხვა ნაირი სა-
წამლავებით. ერთი მათვანი არის ეგრედწო-
დებული კვასსია.

საწამლავი კვასიას მზადება ქრთნაირი გვე-
ნარის კვასსიას ნახერხისაგან. 3 გირვანქა კვა-
სიას ნახერხზე იღებენ 2 გირვანქა მწვანე სა-
პონს. კვასსიას ნახერხას ჩაყრიან ქვაბში და
ალბობენ ერთი დღე და ღამე. წყალი იმდენი
უნდა დაასხათ, რომ ნახერხი სრულიად დაი-
ფაროს. მეორე დღეს უნდა აღუღოთ 2—3
საათის განმავლობაში. აღუღოთ უნდა გარეო,
რადგან კვასსიის ოშეიგარი კაცს აბრუებს და
თავს ატკენს. დუღილის დროს ქვაბს თავი და-

ხურული უნდა ქონდეს. 2—3 საათი დუღი-
ლის შემდეგ, კვასსიას ნახერხი უნდა გასწუ-
როთ პარკში და მიღებულ ცხელ სითხეში გახსა-
ნათ მწვანე საპონი (ყოველ სამ გირვანქა კვასსიას ნახერხზე ორი გირვანქა მწვანე სა-
პონი). ამნაირად მომზადებულ სითხეს უნდა
დაუმატოთ 8 ვედრო წყალი და კარგათ აურიოთ.
წამ.ლს ნელ-თელის შეასხურებენ ხოლმე, რა-
დგან ზოგი გვარი ტილები დაფარულია ერთ-
ნაირი ქონის მზგასი ნივთიერებით, რომელ-
საც თბილი სითხე უძრო კარგად ეკიდება. თუ
მცენარებს ტილები ყოველ წლიბით ეხვევა,
ამ შემთხვევაში წამლობა უნდა დაიწყოთ როცა
ფოთოლა იფურჩება კოკრებიდგან. რადგან
ტილები ამ დროს იჩეკებიან კვერცხებიდგან და
მათი დასველება უფრო ადგილია. როგორსაც
ტილების წყალობით ფოთლები დაიგრძინებიან,
მაშინ ტილებს წამალი ძნელად და მოხვდებათ,
რადგან წამალი დასველულ ფოთოლს გარედმ
ესსურება და ტილები კი შიგნით არიან, რა-
ჯელ წამლობა თავის დროზე საკმარისია.

კვასსიაც და მწვანე საპონიც აფთიაქებში
იყიდება.

გ. ახალაძე



კომბოსტოს ფესტების დაკოურსები. ეს ავადმყოფობა სოკოს ზედაგავლენით უჩნდება კომბოსტოს. კომბოსტოს ფესტები, რომლება ზედაც სცხოვრობდნენ ზემოხსნებული სოკოები, კოურსებიან და თითქოს მსხვილდებიან კიდევ. ასე დასწულებული მცენარე აღარ იკეთებს თავს და ბოლოს ხმება სამწუხაროთ. ამ ავადმყოფობის მოსარჩენი წამალი ჯერ ჯერობით არ არის გამოგონილი.

არის მხოლოდ გასაფრთხილებელი საშუალებები, ე. ი. თუ გნებავთ რომ კომბოსტოს ავადმყოფობა არ გაუჩნდეს, მაშინ საჭიროა მიიღოთ შემდეგი ზომები:

1) არ დარგოთ კომბოსტო დაბალ და ნესტიან ალაგებში, რადგან ამგვარ პირობებში სოკო ძლიერა მრავლდება.

2) კომბოსტოს შუშაბანდიან სანერგებში (სალუმლებში) საჭიროა მოასხათ ცოტაოდენი გოგირდნახშირადის სითხე («ხროუგლერდ»).

შემდეგ ამისა დაპატიჟოთ სახურავი და გარედან შემოულებელთ თიხით. ამნაირად გოგირდნახშირადი უფრო კარგად გაუჯდება მიწას. ეს წამალი პხოცავს ყველანირ სოკოებს.

3) ბოსტანს არას დროს არ უნდა ახმაროთ მომეტებული პარიგი.

4) დარგის წინ საჭიროა მიწას ცოტაოდენი კირი მოაყაროთ და შემდეგ ჩაპაროთ. (1 გირ. კირი 1 კვად. საჟ.).

დარგის დროს უნდა აირჩეს საღი შილილა ანუ ნერგი, რომ შიგ ავადმყოფი მცენარე არ ერთოს. შემოგომაზედ, როდესაც კომბოსტოს მოაჭრით, მიწაში დარჩენილი ძირები უსათუოდ უნდა ამოიღოთ და დასწოთ. ნაცარი შეგიძლიანთ იხმაროთ სასუქად.

კარგი იქმნება აგრეთვე თესვის რიგის გამოცვლა, ე. ი. იმ ალაგებში სადაც კომბოსტო მოყვავთ არი წელიწადი ზედიზედ დათესეთ კარტოფილი.

საშუალება რთვილის წინააღმდეგ. რთვებაც დამე ბაღს ან ვენახს შიში მოელის რთვლისაგან იხმარეთ შემდეგი საშუალება: იმ მხრიდან, საიდანაც ჰქილის ნიავი რამოდენიმე ალაგას დაანთეთ ცეცხლები. მხოლოდ შეშის მაგიერ საჭიროა ისეთი მასალა იხმაროთ, რომ მელიც უფრო გვიან იწვება და ბევრ ბოლო იძლევა. ესეთი მასალა გახლავთ საქონლის

ხმელი პარიგი, რომელიც კარგი იქნება ბზეში აურიოთ და ისე მოუკიდოთ. ბოლო საჭიროა უფრო მზის ამოსვლის დროს დილით, როდესაც უფრო ციფა.

თესლის გაუმჯობესობა. თუ გნებავთ რომ ძველი თესლი მაღლ ამოვიდეს უნდა მოამზადოთ კირტყალი (დაუშლელი კირი გასხვით ავდრის ან მდინარის წყალში), შიგ ჩაპაროთ თესლი და ასე გაუშვათ ორ დღემდე.

შეიძლება თესლის დაბობა აგრეთვე მას რილის სიმევეშიაც («ილიას კისლოთა») ერთი სტოლის კოვზი სიმევე გახსნით 8 ბოთლ-წყალში. მაგარ კანიან თესლის დასალბობათ როგორც დრო უნდა მეტი, ისე წამალიც მაგარი უნდა იყვეს მისთვის.

რთვორ უნდა ჩააქროთ ცეცხლმოკიდებული მშვიარტლი. რთვესაც ბუხრის მიღს გაუჩნდება ცეცხლი, მაშინათვე საჭიროა ერთი მუჭა გოგირდი შეკუაროთ ბუხარში. გოგირდი იძლევა ბევრ ბოლს, რომელიც აქრობს ცეცხლს. არ არის კარგი ბუხრის მიღს დასურვა, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება მისლი გასქდეს და ამით უფრო მეტი უბედურობა მოახდინოთ სახლში.

გ. 6.

განცხადება

მოსავლის რედაქციაში იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ვ. ი. რცხილაძე კრებული არითმეტიკული ამოცანებისა (შეორე ნაწილი) 50 კ.

იმისივე (თარგმანი) ქიმია პრ. როსკოსი (შეორე გამოცემა) 40 კ.

იმისივე საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდგან და შვეიცარიის ძირითადი კანონები 25 კ.

(ამ გამოცემის წმინდა შემოსაფალი ტფიანისის სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ არის დანიშნული).

რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე